დაკარგული ქულა

6 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **სტალინგრადის "ტრაქტორისა" და თბილისის "დინამოს"** სანიმუშო გუნდებმა ჩაატარეს მორიგი კალენდარული შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე.

ტაიმის პირველსავე წუთებიდან მოედანზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. "ტრაქტორის" თავდამსხმელები პონომარიოვისა და სეროვის მეთაურობით მეტწილად გრძელ გარღვევებზე თამაშობენ, თბილისელები კი ბურთის მოკლე გადაცემებით მოწინააღმდეგეებს უტევენ მარცხენა ფრთიდან.

მე–13 წუთზე ცდკა–სთან მატჩის ისტორია მეორდება. მეკარე ტყებუჩავა უშვებს შეცდომას. იგი სრულიად უაზროდ სტოვებს კარს ღიათ და ამით აძლევს პონომარიოვს საშუალებას თავური გარტყმით გაიტანოს პირველი ბურთი. თბილისელები აძლიერებენ ტემპს. რამდენიმე ლამაზი, ზუსტი და მწყობრი იერიშები, მაგრამ უშედეგოდ. გადამწყვეტ მომენტში ბურთი მიზანს ვერ ხვდება. ტაიმის დასასრულს ტყებუჩავამ ბურთის მოგერიების მაგივრად თავისავე კარში მოათავსა ის.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისშივე პანიუკოვმა გაიტანა პირველი ბურთი. ამის შემდეგ დინამოელებს მეტი გამოცოცხლება დაეტყოთ. განსაკუთრებით ენერგიულად იბრძოდა პაიჭაძე, ჯეჯელავა და გაგუა. "ტრაქტორის" კარი აშკარა საფრთხის წინაშე დადგა. დამცველები იძულებულნი არიან ბურთი მეტწილად აუტში გადაისროლონ, მოთამაშეებს კი სარმით გაუმასპინძლდნენ. 28-ე წუთზე პაიჭაძე მარცხენა ფრთიდან უსხლტება ორ მოთამაშეს და ზუსტად აწვდის ცენტრში ბერეჟნოის, რომელიც ძლიერი გარტყმით ათანაბრებს ანგარიშს.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

„ახალგაზრდა კომუნისტი", 7 ივლისი, 1940 წ.